# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

# ბრძანება №26

# 2017 წლის 26 ივლისი

# ქ. თბილისი

## ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ

„ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის $5^1$ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული მოთხოვნები ,,ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი** — **გიგლა აგულაშვილი**

## ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) მოთხოვნები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

წინამდებარე ბრძანება შემუშავებულია „ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ“ 1980 წლის 3 მარტის კონვენციის, „ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ“ კონვენციის 2005 წლის 8 ივლისის შესწორებისა და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

**მუხლი 2. რეგულირების სფერო**

ეს ბრძანება ადგენს:

ა) ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) (შემდეგში – „დაცულობა“) უზრუნველყოფის მოთხოვნებს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად ბირთვული და რადიაციული საქმიანობის (გარდა მაიონებელი გამოსხივების გენერატორებით განხორციელებული საქმიანობისა) განმახორციელებელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისათვის;

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს (შემდეგში – მარეგულირებელი ორგანო) ფიზიკურ უსაფრთხოებასთან (დაცულობასთან) დაკავშირებულ კომპეტენციას.

**მუხლი 3. მიზნები და ამოცანები**

1. წინამდებარე ბრძანების მიზანს წარმოადგენს ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების დაცულობის უზრუნველყოფა და შესაბამისად, ადამიანის, მოსახლეობის, გარემოსა და საკუთრების დაცვა მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

2. წინამდებარე ბრძანების ამოცანაა დიფერენცირებელი მიდგომის, საფრთხეების შეფასების ან/და პროექტირების საბაზისო საფრთხეებისა და მრავალდონიანი დაცვის გათვალისწინებით დაცულობისა და დაცულობის სისტემის მიმართ მოთხოვნების დადგენა, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან დეტექტირებას, დაყოვნებასა და რეაგირებას.

**მუხლი 4. დაცულობის მიზნები და პრინციპები**

1. დაცულობის მიზნებია:

ა) ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების უკანონო ქმედებისაგან დაცვა;
ბ) უკანონო ქმედებებზე ოპერატიული და კოორდინირებული რეაგირება უკანონოდ დაუფლებული რადიოაქტიური ნივთიერების ადგილმდებარეობის დასადგენად, მოსაძიებლად და მასზე მარეგულირებელი კონტროლის აღსადგენად.
2. დაცულობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით.
3. დაცულობის ღონისძიებები უნდა შემუშავდეს, დაიგეგმოს და განხორციელდეს კომპლექსურად ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

**მუხლი 5. ტერმინთა განმარტება**
1. წინამდებარე ბრძანების მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) **პროექტირების საბაზისო საფრთხე** – იმ შიდა დამრღვევისა და გარეშე პირის მახასიათებლები, რომელთაც შეიძლება სცადონ უკანონო დაუფლება ან საბოტაჟის განხორციელება, რის თავიდან ასაცილებლად ხდება დაცულობის სისტემის შემუშავება და შეფასება;
ბ) **დაცულობა** – ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური წყაროების, ასოცირებული დანადგარების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების უკანონო დაუფლება, ასევე, საბოტაჟის და სხვა უკანონო ქმედების დეტექტირება, დაყოვნება და რეაგირება;
გ) **საფრთხე** – პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია უკანონო ქმედების ჩადენის მოტივი, განზრახვა და შესაძლებლობა, ასევე ქმედება, მიმართული საბოტაჟისკენ ან სხვა უკანონო ქმედებისაკენ;
დ) **შიდა დამრღვევი** – პირი, რომელსაც გააჩნია ოფიციალური დაშვება ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე, რადიოაქტიურ ნარჩენებზე, ბირთვულ მასალებზე, რადიოაქტიურ წყაროებზე, მათ შემცველ დანადგარებზე და შესაბამის ინფორმაციაზე და რომელსაც აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს უკანონო ქმედება ან დაეხმაროს გარეშე პირს უკანონო ქმედების განხორციელებაში;
ე) **შესანახი** – ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი პირის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების კომპლექსი, სადაც უსაფრთხო შენახვისათვის დროებით შეიძლება განთავსდეს ბირთვული და რადიაციული წყაროები ან/და რადიოაქტიური ნარჩენები;
ვ) **დაცულობის კულტურა** – ინდივიდების, ორგანიზაციებისა და უწყებების მახასიათებლების, მიდგომებისა და ქცევის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ბირთვული უსაფრთხოების მხარდაჭერის, განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალებას;
ზ) **დეტექტირება** – დაცულობის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს უკანონო ქმედების აღმოჩენას და ამ ქმედებით გამოწვეული განგაშის მიზეზების შეფასებას;
თ) **დაყოვნება** – დაცულობის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს უკანონო ქმედების შეფერხებას (დროის გახანგრძლივების მიზნით) ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე, რადიოაქტიურ წყაროებთან, რადიოაქტიურ ნარჩენებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან უკანონო წვდომისას;
ი) **რეაგირება** – დაცულობის ფუნქცია, რომელიც მოიცავს უკანონო ქმედების აღმოჩენის შემდეგ ოპერატორის პერსონალის, დაცვის სამსახურისა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირების ქმედებათა ერთობლიობას და რომლის მიზანია უკანონო ქმედების ჩამდენი პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება და შესაძლო რადიოლოგიური შედეგების შემცირება;
კ) **დაცულობის მართვა** – ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობის მისაღწევად ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფა, კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავების პროცედურების, ეფექტიანი დაცულობის კულტურის უსაფრთხოების პროცედურების, ანგარიშებისა და გეგმების შემუშავება და განხორციელება;
ლ) **დიფერენცირებული მიდგომა** – დაცულობის უზრუნველსაყოფად სავარაუდო უკანონო ქმედებების შედეგების გათვალისწინებით ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
მ) **მრავალდონიანი დაცვა** – რამდენიმე დონის სისტემისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომლის გადალახვის ან გვერდის ავლის საფუძველზე შესაძლებელია ფიზიკური დაცვის დარღვევა;
ნ) **დაცულობის სისტემა** – ფიზიკური დაცვის ღონისძიებების – პერსონალის, პროცედურებისა და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა.
2. ბრძანებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში.

**მუხლი 6. კომპეტენტური უწყებები ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების დაცულობის უზრუნველყოფის სფეროში**
1. ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების დაცულობის უზრუნველყოფის სფეროში მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციებია:
ა) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის ან ლიცენზიის მაძიებლისათვის

დაცულობისა და დაცულობის სისტემის მიმართ მოთხოვნების დადგენა და განახლება, წინამდებარე ბრძანების შესაბამისად;
ბ) ავტორიზაციის დროს დაცულობის უზრუნველყოფის პირობების შესახებ დოკუმენტაციის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) ინსპექტირების გზით ლიცენზირებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული დაცულობის ღონისძიებების კონტროლი და შეფასება;
დ) ადმინისტრაციული მიწერილობის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასახვა ან/და შესაძლო ახალი საფრთხეების გათვალისწინებით განახლებული დაცულობის სისტემის კონტროლი;
ე) ბირთვული და რადიაციული საქმიანობისას დაცულობის უზრუნველყოფის პირობების დარღვევის ან/და დაცულობის სისტემის გაუმართავი ფუნქციონირების გამოვლენის შემთხვევაში იძულებითი ღონისძიებების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
ვ) პროექტირების საბაზისო საფრთხეების შესამუშავებლად მოთხოვნების დადგენაში მონაწილეობა;
ზ) მაღალი რადიაციული რისკის მქონე ბირთვული და რადიაციული ობიექტების, I კატეგორიის ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური წყაროების, W1 კლასის ნარჩენების მფლობელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების პროექტირების საბაზისო საფრთხეების შეფასება;
თ) ბირთვული და რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების აღრიცხვა და რეესტრის წარმოება.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების დაცულობის უზრუნველყოფის სფეროში განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 7. ოპერატორის ვალდებულებები ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების დაცულობის უზრუნველყოფის სფეროში**

1. ოპერატორი ვალდებულია:
ა) დაცულობის უზრუნველსაყოფად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები;
ბ) შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა;
გ) შეაფასოს არსებული და პოტენციური საფრთხეები;
დ) მაღალი რადიაციული რისკის ობიექტების, I კატეგორიის ბირთვული მასალებისა და რადიოაქტიური წყაროების, W1 კლასის ნარჩენების მფლობელი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ დაცულობის სისტემის დაგეგმვის და დანერგვისას გაითვალისწინოს საფრთხეების შეფასება ან/და პროექტირების საბაზისო საფრთხეები;
ე) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს დოკუმენტაცია დაცულობის სისტემის შესახებ და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა;
ვ) დაიცვას დაცულობის სისტემასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;
ზ) განაახლოს დაცულობის სისტემა:
ზ.ა) ახალი სახის საფრთხეების წარმოქმნისას;
ზ.ბ) ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოებისა და ახალი უფრო მაღალი კატეგორიის წყაროების შეძენის შემთხვევაში;
ზ.გ) დაცულობის ახალი ტიპის ტექნოლოგიების დანერგვისას;
თ) პერიოდულად შეამოწმოს დაცულობის სისტემის ფუნქციონირება და ასახოს ჩანაწერები შესაბამის დოკუმენტაციაში;
ი) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მითითებულ ვადაში შეასრულოს მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული ღონისძიებები;
კ) დაცულობის სისტემაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ 10 დღის ვადაში აცნობოს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია მარეგულირებელ ორგანოს;
ლ) უზრუნველყოს რადიაციულ ინციდენტებზე ან/და რადიაციულ ავარიებზე მზადყოფნა და რეაგირება რადიაციულ ავარიაზე რეაგირების გეგმის მიხედვით;
მ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს მარეგულირებელ ორგანოსა და კომპეტენტურ უწყებებს რადიოაქტიურ ნივთიერებებზე, შესანახებზე, მაღალი რადიაციული რისკის მქონე ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე უკანონო ქმედების განზრახვის, უკანონო ქმედების ჩადენის მომზადების, მცდელობის და უკანონო ქმედების შემთხვევების გამოვლენის შესახებ;
ნ) მარეგულირებელ ორგანოსა და კომპეტენტურ უწყებებს მიაწოდოს ინფორმაცია ახალი შიდა და გარე საფრთხეების შესახებ;
ო) დანერგოს დაცულობის კულტურა;
პ) აღრიცხოს რადიოაქტიური წყაროები, რადიოაქტიური ნარჩენები და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროები;
ჟ) დანერგოს ორი გასაღების პრინციპი;

რ) უზრუნველყოს დაცულობის სისტემაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების გამართული ფუნქციონირება;
ს) უზრუნველყოს პერსონალის მომზადება და გადამზადება დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებში.
2. საფრთხის წარმოქმნისას ოპერატორი ვალდებულია:
ა) დაუყოვნებლივ გააძლიეროს მაღალი რადიაციული რისკის ობიექტების, I, II, III კატეგორიის ბირთვული მასალების და რადიოაქტიური წყაროების, W1, W2 და W3 კლასის ნარჩენების დაცულობა;
ბ) დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საფრთხის შესახებ მარეგულირებელ ორგანოსა და სხვა შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს;
გ) განახორციელოს დამდგარი შედეგების შემარბილებელი ღონისძიებები;
დ) შეაფასოს პოტენციური საფრთხეებით გამოწვეული შესაძლო შედეგები და შედეგების შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობა.

**მუხლი 8. დაცულობის სისტემა**

1. დაცულობის მიზნების მისაღწევად, დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით, ლიცენზიის მფლობელმა/ლიცენზიის მაძიებელმა უნდა შეიქმნას დაცულობის სისტემა, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნება უკანონო ქმედების დეტექტირება, დაყოვნება და მასზე რეაგირება. დაცულობის სისტემა მოიცავს დეტექტირების, დაყოვნებისა და რეაგირების ღონისძიებებს.
2. დეტექტირების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს უკანონო ქმედების, უკანონო ქმედების მომზადების ან მცდელობის გამოვლენისა და შეფასების მიზნით. დეტექტირება დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით შეიძლება განხორციელდეს: ვიზუალური და ვიდეომეთვალყურეობით, ელექტრონული სენსორებით, აღრიცხვის სარეგისტრაციო ჩანაწერებით, განგაშისა და კონტროლის სისტემებით და სხვა.
3. დაყოვნების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე უკანონო შეღწევისა და რადიოაქტიურ წყაროებზე, რადიოაქტიურ ნარჩენებზე და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების უკანონო წვდომის მცდელობის შეყოვნების მიზნით. დაყოვნების შესაფასებლად გამოიყენება დრო დეტექტირებიდან დამრღვევის მიერ ბირთვულ და რადიაციულ ობიექტებზე უკანონო შეღწევისა და რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების უკანონო დაუფლების მცდელობამდე ან დაუფლებამდე. დაყოვნებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ბარიერები ან/და ფიზიკური საშუალებები (სტაციონარული კონსტრუქციები, ღობეები, გისოსები, კარები, შესანახი და სატრანსპორტო კონტეინერები და სხვა შეფუთვები, საკეტები და სხვა). დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით დაყოვნების ღონისძიებები განისაზღვრება ბირთვული და რადიაციული ობიექტების რისკის, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და ბირთვული მასალების კატეგორიების გათვალისწინებით.
4. რეაგირების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, დეტექტირებისა და ანალიზის საფუძველზე უკანონო ქმედებების აღსაკვეთად. დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით რეაგირების ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს ბირთვული და რადიაციული ობიექტების რისკის, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენებისა და ბირთვული მასალების კატეგორიების შესაბამისად.
5. დაცულობის მართვის მეშვეობით იქმნება დაცულობის ფუნქციების ეფექტიანი განხორციელებისა და მდგრადობის საფუძველი.

**მუხლი 9. რადიოაქტიური წყაროების დაცულობა**

1. რადიოაქტიური წყაროების კატეგორიების მიხედვით არსებობს დაცულობის სამი დონე: „A", „B", „C" (*დანართი 1*).
ა) დაცულობის A დონე – რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლების აკრძალვა;
ბ) დაცულობის B დონე – რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლების მინიმუმამდე დაყვანა;
გ) დაცულობის C დონე – რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლების შეზღუდვა.
2. რადიოაქტიური წყაროს დაცულობის „A", „B", „C" დონეების მიხედვით მოთხოვნები განისაზღვრება დანართი 2-ით.
3. IV-V კატეგორიის რადიოაქტიური წყაროების დაცულობის უზრუნველსაყოფად შესასრულებელი მოთხოვნებია:
ა) შემთხვევითი ან უკანონო შეღწევის აღკვეთის ღონისძიებების დადგენა;
ბ) წელიწადში ერთხელ რადიოაქტიური წყაროების ფიზიკური ინვენტარიზაციის ჩატარება და საინვენტარიზაციო დოკუმენტაციის წარმოება;
გ) წყაროსთან მოპყრობის ყველა ეტაპზე კონტროლის დაწესება;
დ) რადიოაქტიური წყაროების დაცულ სათავსებში შენახვის უზრუნველყოფა;
ე) ფიზიკური ინვენტარიზაციის დროს აღმოჩენილი შეუსაბამობების შემთხვევაში კომპეტენტური უწყებების შეტყობინების უზრუნველყოფა.
4. სხვადასხვა კატეგორიის რადიოაქტიური წყაროს ერთდროული გამოყენების ან შენახვის შემთხვევაში,

დაცულობის დონე განისაზღვრება ყველაზე მაღალი კატეგორიის წყაროს მიხედვით.

**მუხლი 10. რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობა**

1. რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობის სისტემის დაგეგმვისა და დანერგვისას გათვალისწინებული უნდა იქნას რადიოაქტიური ნარჩენების მასა, მოცულობა, აქტივობა, მათი განთავსება ობიექტზე, ასევე შემდეგი მახასიათებლები:

ა) ნუკლიდების ხვედრითი აქტივობა რადიოაქტიურ ნარჩენში;

ბ) რადიოაქტიური ნარჩენის ფიზიკურ-ქიმიური ფორმა;

გ) რადიოაქტიური ნარჩენის შეფუთვა.

2. დაცულობის სისტემის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს რადიოაქტიური ნარჩენის ფარდობითი საფრთხე (R), რომლის მნიშვნელობა თითოეული შეფუთვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$R = \sum_n \frac{A_n}{D_n}$$

სადაც $A_n$ არის n რადიონუკლიდის აქტივობა; $D_n$ – n რადიონუკლიდის საფრთხის მნიშვნელობა, რომლებიც განსაზღვრულია ტექნიკური რეგლამენტით – მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის უწყებრივი რეესტრის შექმნისა და წარმოების წესით, მაიონებელი გამოსხივების წყაროების კატეგორიზაციით.

ფარდობითი საფრთხის (R) მნიშვნელობისა და რადიოაქტიური ნარჩენის შეფუთვის მასის გათვალისწინებით, დგინდება რადიოაქტიური ნარჩენების კლასები (W1, W2, W3, W4). რადიოაქტიური ნარჩენების კლასების მიხედვით განისაზღვრება მოთხოვნები შესაბამისი დაცულობის სისტემის მიმართ.

3. რადიოაქტიური ნარჩენების კლასები განისაზღვრება ცხრილი 1-ის მიხედვით.

*ცხრილი 1*

| R ფაქტორის მნიშვნელობა | რადიოაქტიური ნარჩენის შეფუთვის მასა, M (კგ) | სცენარი | |
|---|---|---|---|
| | | ქურდობა | საბოტაჟი |
| R ≥ 1000 | M< 2000* | W1 | W1 |
| | M ≥ 2000* | W2 | |
| 10 ≤ R < 1000 | M< 2000* | W2 | W2 |
| | M ≥ 2000* | W3 | |
| 1 ≤ R < 10 | M< 2000* | W3 | W3 |
| | M ≥ 2000* | W4 | |
| R < 1 | ნებისმიერი | W4 | W4 |

*2000* არის რადიოაქტიური ნარჩენის შემცველი შეფუთვის მინიმალური მასა, რომელიც განიხილება უკანონო ქმედების შესაძლებლობის სირთულედ.*

4. რადიოაქტიური ნარჩენის კლასი შეიძლება შეიცვალოს საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ მარეგულირებელი ორგანოსთვის შეტყობინების საფუძველზე, რადიოაქტიური ნარჩენების მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით.

5. W1, W2 და W3 კლასის რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობის სისტემის მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება დანართი 4-ის მიხედვით.

6. W4 კლასის რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობის სისტემის მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება პრაქტიკული მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მარეგულირებელ ორგანოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 11. რადიოაქტიური ნარჩენების საცავისა და რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის დაცულობა**

1. მარეგულირებელი ორგანოს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტი ვალდებულია:

ა) რადიოაქტიური ნარჩენების საცავსა და რადიოაქტიური ნარჩენების სამარხზე უზრუნველყოს რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობა;
ბ) საფრთხეების შეფასებისა და პროექტირების საბაზისო საფრთხეების საფუძველზე დანერგოს დაცულობის სისტემა;
გ) უზრუნველყოს დაცულობის სისტემის გამართული ფუნქციონირება.
2. ბირთვულ და რადიაციულ ობიექტზე, სადაც განთავსებულია რადიოაქტიური ნარჩენები და რადიოაქტიური წყაროები, დაცულობის სისტემის დანერგვა უნდა განხორციელდეს კონკრეტულ ობიექტებზე არსებული რადიოაქტიური ნივთიერებების დაცულობის ამ ბრძანებით განსაზღვრული მაქსიმალური დონის გათვალისწინებით.

**მუხლი 12. დაცულობა რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებისას**

1. რადიოაქტიური წყაროების და რადიოაქტიური ნარჩენების ტრასპორტირების დროს დაცულობის სისტემა უნდა დაიგეგმოს დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით, უკანონო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.
2. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირების შემთხვევაში დაცულობის სისტემის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საკითხები:
ა) რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები;
ბ) ტრანსპორტის სახეობა;
გ) გამოყენებული შეფუთვები;
დ) რადიოაქტიური წყაროებითა და რადიოაქტიური ნარჩენებით გამოწვეული შესაძლო საფრთხეების შეფასება.
3. ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების მახასიათებლების გათვალისწინებით ხორციელდება შესაძლო რადიოლოგიური შედეგის შეფასება.
4. რადიოლოგიური შედეგის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით და დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს დაცულობის ღონისძიებები:
ა) უმნიშვნელო რადიოლოგიური შედეგის შემთხვევაში – მიღებული უნდა იქნეს დაცულობის ღონისძიებები პრაქტიკული მიზანშეწონილობის თვალსაზრისით;
ბ) შეზღუდული რადიოლოგიური შედეგის შემთხვევაში – მიღებული უნდა იქნეს დაცულობის საბაზისო ღონისძიებები;
გ) მნიშვნელოვანი რადიოლოგიური შედეგის შემთხვევაში – მიღებული უნდა იქნეს დაცულობის გაძლიერებული ღონისძიებები.
5. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებისას დაცულობის საბაზისო ღონისძიებები მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) რადიოაქტიური ნივთიერების და რადიოაქტიური ნარჩენის ტრანსპორტირების დროს დროებითი შენახვისათვის გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის დაცულობა უნდა შეესაბამებოდეს იმ ზომებს, რომლებიც დადგენილია რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენებისათვის და მათი შენახვის ობიექტებისათვის;
ბ) უზრუნველყოფილი იქნეს რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირების განმახორციელებელი პირების სანდოობა და განისაზღვროს მათი მოვალეობები;
გ) უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის დროული გაცვლა ტვირთის გამგზავნს, გადამზიდსა და მიმღებს შორის;
დ) რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებისას ინციდენტის ან/და ავარიის შემთხვევაში განხორციელდეს ოპერატიული რეაგირება შესაბამისი გეგმის მიხედვით;
ე) დაუშვებელია რადიოაქტიური წყაროების და რადიოაქტიური ნარჩენის შემცველი შეფუთვისა და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების დატოვება ზედამხედველობის გარეშე;
ვ) რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირების განმახორციელებელ პირებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია რადიაციული უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხებში.
6. რადიოაქტიური წყაროების და რადიოაქტიური ნარჩენის ტრანსპორტირებისას გაძლიერებული ღონისძიებები მოიცავს როგორც საბაზისო, ისე დამატებით ზომებს, რომელიც გულისხმობს დეტექტირების, დაყოვნების, რეაგირების ფუნქციებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას.
7. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირების მარშრუტი (დასახლებულ პუნქტებზე გავლის შეზღუდვით) და დრო უნდა შეთანხმდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებებთან.
8. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებისას უნდა განხორციელდეს დაცვის პერსონალის თანხლების ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
9. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირებისას გამოყენებული უნდა

იქნეს მხოლოდ ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
10. რადიოაქტიური წყაროებისა და რადიოაქტიური ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისად უფლებამოსილმა პირებმა.
11. საფრთხის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი დამატებითი ღონისძიებები:
ა) ტვირთის გაგზავნის გადავადება;
ბ) მარშრუტის შეცვლა საფრთხის თავიდან აცილების მიზნით;
გ) შეფუთვის და სატრანსპორტო საშუალების მდგრადობის გაძლიერება;
დ) ტრანსპორტირების უზრუნველყოფა დაცვის დამატებითი ძალებით;
ე) კანონმდებლობით განსაზღვრული უწყებების ინფორმირება ქურდობის, საბოტაჟის და სხვა უკანონო ქმედებების საფრთხის შესახებ.

**მუხლი 13. ბირთვული მასალების დაცულობა**
1. ბირთვული მასალის დაცულობის დონე განისაზღვრება დანართი 4-ით დადგენილი ბირთვული მასალის კატეგორიზაციის მიხედვით.
2. ბირთვული მასალის დაცულობის დონეები შეესაბამება რადიოაქტიური წყაროების დაცულობის დონეს შემდეგი პრინციპით:
ა) III კატეგორიის ბირთვული მასალა – რადიოაქტიური წყაროების დაცულობის "C" დონე;
ბ) II კატეგორიის ბირთვული მასალა – რადიოაქტიური წყაროების დაცულობის "B" დონე;
გ) I კატეგორიის ბირთვული მასალა – რადიოაქტიური წყაროების დაცულობის "A" დონე.
3. II და III კატეგორიის ბირთვული მასალების ტრანსპორტირებისას დაცულობის უზრუნველსაყოფად უნდა შესრულდეს შემდეგი მოთხოვნები:
ა) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაცულობის საბაზისო ღონისძიებები;
ბ) უნდა არსებობდეს წინასწარი შეთანხმება გადაცემის ადგილის, დროისა და პროცედურების თაობაზე გამგზავნს, მიმღებსა და გადამზიდავს.
4. I კატეგორიის ბირთვული მასალების ტრანსპორტირებისას დაცულობის უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს დაცულობის გაძლიერებული ღონისძიებები.
5. ქვეყნის შიგნით ბირთვული მასალის იმ რაოდენობის გადაზიდვისას, რომელიც არ ექვემდებარება ბირთვული მასალის კატეგორიზაციას, გამოყენებული უნდა იქნეს დანართი 3-ით განსაზღვრული ქმედებები, რომლებიც შეესაბამება IV-V კატეგორიის რადიოაქტიური წყაროების ტრანსპორტირებას.

**მუხლი 14. დაცულობის კულტურა**
1. დაცულობის სტაბილურობის, მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოძიება და დაცულობის კულტურის დანერგვა გრძელვადიან პერიოდზე. ყველა კომპეტენტურმა უწყებამ და იმ პირებმა, რომლებიც ჩართულნი არიან დაცულობის უზრუნველყოფასა და კონტროლში, უნდა დანერგონ, განავითარონ და შეინარჩუნონ დაცულობის კულტურა დაცულობის მიზნების მისაღწევად.
2. დაცულობის კულტურის საფუძველს წარმოადგენს:
ა) არსებული და პოტენციური საფრთხეების გაცნობიერება, შეფასება და ანალიზი;
ბ) დაცულობის მდგრადობის უზრუნველყოფა;
გ) პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა და კონტროლი მათ შესრულებაზე;
დ) პერსონალის ცნობიერებისა და განათლების ამაღლება;
ე) დაცულობის ფუნქციების შესასრულებლად დაცულობის სისტემების მუდმივი გაუმჯობესება.

**მუხლი 15. დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფა**
1. დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფა სავალდებულოა კომპეტენტური სახელმწიფო უწყებებისთვის და იმ ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობას.
2. ოპერატორებმა, დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე, უნდა შეიმუშაონ და განაახლონ ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს დაცულობის სისტემის შემუშავების, იმპლემენტაციის, განხორციელებისა და შენარჩუნების შესაბამისობას საფრთხეების შეფასებასთან ან/და პროექტირების საბაზისო საფრთხეებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.
3. ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა უნდა მოიცავდეს:
ა) დაცულობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;
ბ) დაცულობის სისტემის კომპონენტების ხარისხის ამოცანებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გარანტიას;
გ) ხარისხის კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების მეშვეობით დაცულობის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებისა და შემოწმების შესაძლებლობას;
დ) დაცულობის სისტემის შექმნის, შენარჩუნების, განვითარებისა და განხორციელების გზებს;

ე) დაცულობის კულტურის დანერგვისა და მისი შეფასების გზებს.
4. ოპერატორი ვალდებულია სისტემატურად შეაფასოს, განავითაროს და შეინარჩუნოს ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა და ხელი შეუწყოს მის განხორციელებას.

*დანართი №1*

დაცულობის დონეები რადიოაქტიური წყაროების კატეგორების მიხედვით

| A/D | წყაროს კატეგორია | დაცულობის დონე |
|---|---|---|
| A/D ≥ 1000 | I | «A» |
| 10 < A/D ≤1000 | II | «B» |
| 1 < A/D ≤10 | III | «C» |
| 0.01 < A/D ≤1 | IV | |
| A/D ≤ 0.01 და A>გამორიცხვის დონე* | V | |

** გამორიცხვის დონე განისაზღვრება ,,ტექნიკური რეგლამენტის – „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 აგვისტოს №450 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დანართ 1-ში.*

A - რადიოიზოტოპის აქტივობა;

D - საფრთხე, რომელიც განსაზღვრულია ,,ტექნიკური რეგლამენტის - „მაიონებელი გამოსხივების წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების, ავტორიზაციის უწყებრივი რეესტრის შექმნისა და წარმოების წესის, მაიონებელი გამოსხივების წყაროების კატეგორიზაციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 დეკემბრის №689 დადგენილების მიხედვით. .

*დანართი №2*

**მოთხოვნები რადიოაქტიური წყაროების დაცულობის „A“, „B“, „C“ დონეების მიხედვით**

დაცულობის დონე „A“

| **დაცულობის ფუნქცია** | **დაცულობის ამოცანა** | **გასატარებელი ღონისძიებები** |
|---|---|---|
| | ბირთვული და რადიაციული ობიექტების ტერიტორიაზე /რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილზე ნებისმიერი უკანონო შეღწევისას უზრუნველყოფილ იქნეს დაუყოვნებლივი აღმოჩენა | უკანონო შეღწევის აღმოჩენის ელექტრონული სისტემა ან/და უწყვეტი მეთვალყურეობა პერსონალის მიერ |

| | | |
|---|---|---|
| დეტექტირება | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროების დაუფლების მიზნით ნებისმიერი უკანონო შეღწევის მცდელობის დაუყოვნებლივი აღმოჩენა, შიდა დამრღვევის ჩათვლით | უკანონო შეღწევის აღმოჩენის ელექტრონული მოწყობილობა ან/და უწყვეტი მეთვალყურეობა პერსონალის მიერ |
| | უზრუნველყოფილ იქნეს აღმოჩენის დაუყოვნებლივი შეფასება | დახურული წრედის სატელევიზიო სისტემის მეშვეობით ვიდეო მონიტორინგის განხორციელება; პასუხისმგებელი პირის მიერ მონიტორინგის შედეგების შეფასება |
| | უზრუნველყოფილ იქნეს პასუხისმგებელი უწყებებისა და პირების დაუყოვნებლივი შეტყობინება | სხვადასხვა სახის სწრაფი, საიმედო აუდიო (საკომუნიკაციო) საშუალებები, როგორიცაა ტელეფონი, მობილური ტელეფონი, რაცია და სხვა. |
| | გადამოწმების გზით უზრუნველყოფილ იქნეს ადგილზე დანაკარგის აღმოჩენა | ყოველდღიური შემოწმება, ვიდეოთვალთვალის, მოძრაობის დეტექტორების და სხვა მოწყობილობების საშუალებით |
| დაყოვნება | უკანონო ქმედების აღმოჩენისას უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი დაყოვნება, რათა რეაგირებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიეცეს საკმარისი დრო, რომ ხელი შეეშალოს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლებას | დაცულობის სისტემის სულ მცირე ორი ბარიერი, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ საკმარის დაყოვნებას, რათა რეაგირებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიეცეს საკმარისი დრო, რომ ხელი შეეშალოს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლებას. |
| რეაგირება | უზრუნველყოფილ იქნეს განგაშზე დაუყოვნებლივი რეაგირება, რათა ხელი შეეშალოს და აღიკვეთოს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლება | წინააღმდეგობის გაწევისათვის დაუყოვნებლივი რეაგირების შესაძლებლობა შესაბამისი სწავლებისა და აღჭურვილობის მქონე პერსონალის მიერ |
| | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილზე მხოლოდ უფლებამოსილი პირების დაშვება | იდენტიფიცირება და ვინაობის შემოწმება: მაგალითად, ჩამკეტი, რომელიც კონტროლდება ბარათის წამკითხველით, პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომრით ან გასაღებით. |
| | უზრუნველყოფილ იქნეს უფლებამოსილი პირების სანდოობა | ყველა იმ პირის სპეციალური გადამოწმება, რომელსაც გააჩნია დაშვება რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილებზე და აქვს წვდომა |

| | | |
|---|---|---|
| | | შესაბამის ინფორმაციასთან თანხმლები პირის გარეშე |
| | კონფიდენციალური ინფორმაციის განსაზღვრა და დაცვა | პროცედურების შემუშავება ინფორმაციის კონფიდენციალურობის განსაზღვრისა და დაცვისათვის, არაკანონიერი გამჟღავნებისაგან დასაცავად |
| | დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება | დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და გაზრდილი საფრთხის მიმართ შესაბამის რეაგირებას |
| | მზადყოფნა გაუთვალიწინებელი შემთხვევებისთვის | დაცულობის უზრუნველსაყოფად რეაგირების პროცედურების შემუშავება სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში |
| | ანგარიშგების სისტემის დანერგვა | დროული ანგარიშგების პროცედურების შემუშავება |

დაცულობის დონე „B“

| **დაცულობის ფუნქცია** | **დაცულობის ამოცანა** | **გასატარებელი ღონისძიებები** |
|---|---|---|
| დეტექტირება | ბირთვული და რადიაციული ობიექტების ტერიტორიაზე ან/და რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილზე ნებისმიერი უკანონო შეღწევისას უზრუნველყოფილ იქნეს დაუყოვნებლივი აღმოჩენა | უკანონო შეღწევის აღმოჩენის ელექტრონული სისტემა ან/და უწყვეტი მეთვალყურეობა პერსონალის მიერ |
| | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროების დაუფლების მიზნით ნებისმიერი უკანონო შეღწევის მცდელობის დაუყოვნებლივი აღმოჩენა, შიდა დამრღვევის ჩათვლით | უკანონო შეღწევის აღმოჩენის ელექტრონული მოწყობილობა ან/და უწყვეტი მეთვალყურეობა პერსონალის მიერ |
| | უზრუნველყოფილ იქნეს აღმოჩენის დაუყოვნებლივი | დახურული წრედის სატელევიზიო სისტემის მეშვეობით ვიდეო მონიტორინგის განხორციელება პასუხისმგებელი პირის მიერ |

| | | |
|---|---|---|
| | შეფასება | მონიტორინგის შედეგების შეფასება |
| | უზრუნველყოფილ იქნეს პასუხისმგებელი უწყებებისა და პირების დაუყოვნებლივი შეტყობინება | სხვადასხვა სახის სწრაფი, საიმედო აუდიო (საკომუნიკაციო) საშუალებები, როგორიცაა ტელეფონი, მობილური ტელეფონი, რაცია და სხვა. |
| | გადამოწმების გზით, უზრუნველყოფილ იქნეს ადგილზე დანაკარგის აღმოჩენა | ყოველკვირეული შემოწმება ვიდეოთვალთვალისა და სხვა მოწყობილობების საშუალებით |
| დაყოვნება | უკანონო ქმედების აღმოჩენისას უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი დაყოვნება, იმისათვის რომ მინიმიზებული იქნეს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლება | დაცულობის სისტემის სულ მცირე ორი ბარიერი, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფს დაყოვნებას, რათა რეაგირებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიეცეს საკმარისი დრო, რომ ხელი შეეშალოს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლებას. |
| რეაგირება | დაუყოვნებელი რეაგირების დაწყების უზრუნველყოფა, რათა ხელი შეეშალოს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლებას. | აღჭურვილობა და პროცედურები დაუყოვნებლივი რეაგირების დასაწყებად |
| | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილზე მხოლოდ უფლებამოსილი პირების დაშვება | იდენტიფიკაციის სულ მცირე ერთი კრიტერიუმი |
| | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილზე უფლებამისილი პირების სანდოობა | ყველა იმ პირის სპეციალური გადამოწმება, რომელსაც გააჩნია დაშვება რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილებზე და აქვს წვდომა შესაბამის ინფორმაციასთან თანხმლები პირის გარეშე |
| | კონფიდენციალური ინფორმაციის განსაზღვრა და დაცვა | კონფიდენციალურობის განსაზღვრისა და დაცვისათვის, არაკანონიერი გამჟღავნებისაგან დასაცავად |
| | დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება | დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და გაზრდილი საფრთხის მიმართ შესაბამის რეაგირებას |
| | მზადყოფნა გაუთვალიწინებელი | დაცულობის უზრუნველსაყოფად რეაგირების პროცედურების შემუშავება, სხვადასხვა |

| | | |
|---|---|---|
| | შემთხვევებისთვის | სცენარების შემთხვევაში |
| | ანგარიშგების სისტემის დანერგვა | დროული ანგარიშგების პროცედურების შემუშავება |

დაცულობის დონე „C“

| **დაცულობის ფუნქცია** | **დაცულობის ამოცანა** | **გასატარებელი ღონისძიებები** |
|---|---|---|
| | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლების აღმოჩენა | უკანონო შეღწევის აღმოჩენის აღჭურვილობა ან/და პერსონალის მიერ პერიოდული გადამოწმება |
| | უზრუნველყოფილ იქნეს აღმოჩენის დაუყოვნებელი შეფასება | შეფასება პერსონალის ან/და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ |
| | გადამოწმების გზით უზრუნველყოფილ იქნეს ადგილზე დანაკარგის აღმოჩენა. | ყოველთვიური შემოწმება ვიდეოთვალთვალისა და სხვა მოწყობილობების საშუალებით |
| დაყოვნება | უზრუნველყოფილ იქნეს დაყოვნება რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლების შესამცირებლად | დაცულობის სისტემის სულ მცირე ერთი ბარიერი ან პერსონალის მეთვალყურეობა |
| რეაგირება | შესაბამის ქმედებათა განხორციელება რადიოაქტიური წყაროების უკანონო დაუფლების დროს | რეაგირებისთვის აუცილებელი პროცედურების შემუშავება |
| | უზრუნველყოს რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილზე მხოლოდ უფლებამოსილი პირების დაშვება | იდენტიფიკაციის ერთი კრიტერიუმი. |
| | უზრუნველყოფილ იქნეს რადიოაქტიური წყაროს განთავსების ადგილზე უფლებამოსილი პირების სანდოობა | სათანადო მეთოდით პერსონალის გადამოწმება, რომელთაც რადიოაქტიური წყაროების განთავსების ადგილას და ასევე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან აქვს წვდომა თანმხლები პირის გარეშე |
| დაცულობის მართვა | კონფიდენციალური ინფორმაციის განსაზღვრა და დაცვა | კონფიდენციალურობის განსაზღვრისა და დაცვისათვის, არაკანონიერი გამჟღავნებისაგან დასაცავად |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება | დაცულობის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება, რომელიც შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს |
| | მზადყოფნა გაუთვალიწინებელი შემთხვევებისთვის | დაცულობის უზრუნველსაყოფად რეაგირების პროცედურების შემუშავება |
| | ანგარიშგების სისტემის დანერგვა | დროული ანგარიშგების პროცედურების შემუშავება |

*დანართი №3*

**მოთხოვნები W1, W2 და W3 კლასის რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობის სისტემის მიმართ**

| | **რადიოაქტიური ნარჩენების დაცულობის** ღონისძიებები | **ნარჩენების კლასი** | | |
|---|---|---|---|---|
| | | **W3** | **W2** | **W1** |
| 1. | რადიოაქტიური ნარჩენები უნდა განთავსდეს შეზღუდული პერიმეტრის ფარგლებში. | + | | |
| 2. | რადიოაქტიური ნარჩენები უნდა განთავსდეს კონტროლირებადი პერიმეტრის შიგნით. | | + | |
| 3. | რადიოაქტიური ნარჩენები უნდა განთავსდეს დაცულ ადგილას კონტროლირებადი პერიმეტრის ფარგლებში | | | + |
| 4. | შეზღუდული, კონტროლირებადი და დაცული პერიმეტრები შემოსაზღვრული უნდა იქნეს ფიზიკური ბარიერებით | + | + | + |
| 5. | პერიმეტრზე შესასვლელ-გასასვლელების რაოდენობა უნდა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი | + | + | + |
| 6. | შესასვლელებთან უნდა გატარდეს კონტროლის ღონისძიებები | + | + | + |
| 7. | რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებში დაიშვება მხოლოდ ავტორიზებული პირები | + | + | + |
| 8. | დაცულ პერიმეტრზე ესკორტირების გარეშე პირების დაშვებისათვის შემუშავებული უნდა იქნეს სანდოობის ვერიფიკაციის წესები | | | + |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9. | იმ პირთათვის, რომელთა სანდოობა ვერ დგინდება, დაცულ პერიმეტრზე ყოფნისას საჭიროა მუდმივი ესკორტირებაა | | | + |
| 10. | დაცულ პერიმეტრზე შესაღწევად უნდა შემუშავდეს შესაბამისი წესები გასაღებების ან/და ბარათების გამოყენებისათვის | + | + | + |
| 11. | ნარჩენების განთავსების პერიმეტრზე, სატრანსპორტო საშუალებების შეღწევა უნდა იქნეს დაყვანილი მინიმუმამდე | + | + | + |
| 12. | პირები, სატრანსპორტო საშუალებები, ამანათები ან და ტვირთი, რომელიც შედის ან ტოვებს დაცულ პერიმეტრს, უნდა გაიჩხრიკოს | | | + |
| 13. | პერიმეტრზე უკანონო შეღწევის შემთხვევებისთვის უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი შეფასების პროცედურები; მსგავსი პროცედურები უნდა ჩამოყალიბდეს რეაგირებაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის განგაშის მყისიერი შეტყობინების მიზნით. | | + | + |
| 14. | ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი პირი ვალდებულია პერიოდულად შეამოწმოს დეტექტირებისა და შეფასების სისტემა, სხვა ტექნიკური საშუალებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი გამართული ფუნქციონირება. | | + | + |
| 15. | დაცულობასთან დაკავშირებული ყველა დეტექტორიდან მიღებულმა ინფორმაციამ თავი უნდა მოიყაროს ცენტრალიზებულ საკონტროლო პუნქტში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს განგაშის ხარისხის/მიზეზის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ინიცირებულ იქნეს რეაგირების ღონისძიებები. საკონტროლო პუნქტის განლაგება/მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს დაცულობის მოთხოვნებს პოტენციური საფრთხეების გათვალისწინებით. | | | + |
| 16. | საკონტროლო პუნქტს უნდა გააჩნდეს ორმხრივი დამოუკიდებელი კომუნიკაციის საშუალება რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირების დეტექციის, შეფასებისა და რეაგირების დროს | | | + |
| 17 | ენერგომომარაგების ძირითადი წყაროს მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში უნდა არსებობდეს ალტერნატიული კვების წყარო, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უსაფრთხოების (დაცულობის) სისტემების | | | + |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უწყვეტი ფუნქციონირება. | | | |
| 18 | ობიექტის პერსონალსა და მორეგირეთა ურთიერთქმდება (მათ შორის, უსაფრთხოების ჯგუფი) უნდა იყოს გეგმური და პერიოდულად ხდებოდეს მზადყოფნის დონის გადამოწმება. | | | + |
| 19 | პერსონალს პერიოდულად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია დაცულობის მნიშვნელობის შესახებ და ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები. | + | + | + |
| 20 | პერიოდულად უნდა ჩატარდეს რადიოაქტიური ნარჩენების ინვენტარიზაცია | + | + | + |
| 21 | დაცული და კონტროლირებადი პერიმეტრების ფარგლებში რადიოაქტიური მასალის გადაადგილებისას უნდა იქნეს უზრუნველყოფილი შესაბამისი/თანაზომადი დაცულობის ღონისძიებები | + | + | + |

*დანართი №4*

**ბირთვული მასალების კლასიფიკაცია**

| **ნივთიერება** | **ფორმა** | **კატეგორია** | | |
|---|---|---|---|---|
| | | I | II | III[5] |
| პლუტონიუმი[1] | დაუსხივებელი[2] | 2კგ ან მეტი | 2კგ-ზე ნაკლები<br>და 500 გრ-ზე<br>მეტი | 500 გრ ან<br>ნაკლები და 15<br>გრ-ზე მეტი |
| | დაუსხივებელი[2] - ურანი,<br>გამდიდრებული<br>იზოტოპ ურან-<br>235-ით 20 ან<br>მეტი %-ით | 5 კგ ან მეტი | 5კგ-ზე ნაკლები<br>და 1კგ-ზე მეტი | 1კგ-ზე ნაკლები<br>და 15<br>გრ-ზე მეტი |
| | -ურანი, | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ურან-235 | გამდიდრებული იზოტოპ ურან-235-ით 10 დან 20%-მდე | | 10კგ ან მეტი | 10 კგ-ზე ნაკლები და 1 კგ-ზე მეტი |
| | -ურანი, გამდიდრებული ბუნებრივზე მეტად, მაგრამ ურან-235 იზოტოპის 10%-ზე ნაკლები შემცველობით | | | 10 კგ-ზე მეტი |
| ურან-233 | დაუსხივებელი2 | 2კგ ან მეტი | 2 კგ-ზე ნაკლები და 500 გრ-ზე მეტი | 500 გ და ნაკლები და 15 გ-ზე მეტი |
| დასხივებული საწვავი | | | გაღარიბებული ან ბუნებრივი ურანი, თორიუმი ან სუსტად გამდიდრებული საწვავი (10%-ზე ნაკლები ხლეჩადი იზოტოპების შემცველობით)[3,4] | |

1. ნებისმიერი იზოტოპური შემადგენლობის პლუტონიუმი, გარდა პლუტონიუმისა, რომელშიც იზოტოპ პლუტონიუმ-238-ის კონცენტრაცია აღემატება 80%-ს.

2. დაუსხივებელი ან რეაქტორში დასხივებული ბირთვული მასალა დაცვის გარეშე ერთი მეტრ მანძილზე გამოსხივების დოზის სიმძლავრით 1 ზვ/სთ ან ნაკლები.

3. კომპეტენტური უწყებების მიერ, დაცულობის ეს დონე, ობიექტური გარემოებებისა და რისკების შეფასებიდან გამომდინარე, შეიძლება შეიცვალოს მეტი ან ნაკლები დაცულობის დონით.

4. დაუსხივებელი I ან II კატეგორიის ბირთვული საწვავის კატეგორია შეიძლება დაქვეითდეს ერთი კატეგორიით, თუ

გამოსხივების დოზის სიმძლავრე დაცვის გარეშე ერთი მეტრის მანძილზე აღემატება 1 ზვ/სთ-ს.

5. ბუნებრივი ურანისა და ბირთული მასალის იმ რაოდენობისათვის, რომელიც ნაკლებია III კატეგორიით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დაცულობა განისაზღვრება IV-V კატეგორიის წყაროების მიმართ დაცულობის მოთხოვნების ანალოგიურად.